საქართველოს კანონი

„ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №23-24, 30.06.1998, გვ. 37) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ჟ^{1}“ ქვეპუნქტი:

„ჟ^{1}) ვენახების ერთიანი კადასტრი – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ შედგენილი ვენახებისა და მევენახეების შესახებ მონაცემთა ბაზა;“.

2. 33^{6} მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^{5} პუნქტი:

„1^{5}. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა 2023 წლის 1 სექტემბრამდე გამოსცეს ბრძანება „ვენახების ერთიანი კადასტრის შექმნისა და ორგანიზების წესის განსაზღვრის შესახებ“.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი,

15 ივნისი 2023 წ.

N3160-XIმს-Xმპ